შპს „ე.რ.ი. მედია ჯგუფი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ე.რ.ი. მედია ჯგუფის“ 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ქ.თბილისი 25 აპრილი 2023 წელი

შპს „ე.რ.ი. მედია ჯგუფის“ (ს/ნ 404622850) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ე.რ.ი მედია ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ; ანგარიშგებას მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგებას საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „ე.რ.ი მედია ჯგუფის“ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს უზუსტობებს, რომელიც ცალ-ცალკე ან ერთად აღებული არსებითია, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ე.რ.ი მედია ჯგუფის“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა მხარეთა შორის 2023 წლის 14 აპრილის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შშპს „ე.რ.ი მედია ჯგუფის“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა მიხედვით და შესაბამისი მოსაზრების წარმოდგენას. აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული აქტებით დაკისრებული ვალდებულებები აღწერილია „აუდიტორის პასუხისმგებლობის“ განმსაზღვრელ ნაწილში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები დამკვეთისაგან, დავიცავთ კონფიდენციალობის ვალდებულებებს, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

1. კომპანიის აუდიტორებად გვიან - 202 წლის 14 აპრილს დანიშვნის გამო, ფიზიკურად ვერ დავესწარით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო მუხლების ინვენტარიზაციას. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა აღნიშნული თარიღისთვის აღრიცხული აქტივების ფაქტობრივი ნაშთის რეალობის დადგენა. გვაქვს საფუძველი, რომ ვირწმუნოთ, ძირითადი აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შესაძლო უზუსტობა არსებითი არ იყო და ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამდენად, მასში კორექტივების შეტანის აუცილებლობა ფინანსური მდგომარეობის, აგრეთვე მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არ დამდგარა;

2. სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებით, ძირითად საშუალებად აღიარებულია ისეთი მცირეფასიანი ინვენტარი, რაც ხარჯებში უნდა ყოფილიყო ჩამოწერილი შესყიდვისთანავე, ვინაიდან აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს არ შეესაბამება;

კომპანია არ იყენებს ერთიან საგადასახადო ანგარიშს;

3. ხელმძღვანელობა ვალდებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განესაზღვრა, არსებობდა თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეფასებინა აქტივის ანაზღაურებადი

ღირებულება და განეხორციელებინა შესაბამისი პროცედურები. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე კომპანიაში არ ხორციელდება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს შპს „ე.რ.ი მედია ჯგუფის“ კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშგებებზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ანგარიშგებების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება

მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ანგარიშგებების წარდგენის შეფასებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტორი

ლევან ბაკურაძე 25.05.2023

აუდიტორის ასისტენტი

მალხაზ სილაგაძე 25.05.2023

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ე.რ.ი. მედია ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 5

1. **ძირითადი საქმიანობა**..... 5
2. **მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი**..... 5
3. **ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა** 5
4. **ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**. 5
5. **მიწოდების და მომსახურების ხარჯები**. 6
6. **ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები** 7
7. **რისკების მართვა**. 8
8. **საწარმოს უწყვეტობის განხილვა** 8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022	2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	381,451	
სხვა არამატერიალური აქტივები	8,950	
	390,401	-
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	-	
სავაჭრო მოთხოვნები		
საგადასახადო აქტივი	2,371	
სხვა მიმდინარე აქტივები	1,185	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,612	38
	7,168	38
სულ აქტივები	**397,569**	38
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	166,215	
გაუნაწილებელი მოგება	(205,889)	(162)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	368,570	
	328,897	**(162)**
არამაკონტროლებელი წილი		
სულ საკუთარი კაპიტალი	**328,897**	**(162)**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	15,500	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**15,500**	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	50,515	200
გადასახდელი პროცენტები	2,657	
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**53,172**	**200**
სულ ვალდებულებები	**68,672**	**200**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**397,569**	**38**

გენერალური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022
ამონაგები	4,237
სხვა შემოსავალი	561
სულ შემოსავალი	4,799
ხარჯები	
კომერციული დანახარჯები	-
ადმინისტრაციული ხარჯები	(201,409)
სხვა ხარჯები	(5,840)
ფინანსური დანახარჯები	(3,277)
მოგება დაბეგვრამდე	(205,727)
მოგების გადასახადი	
საანგარიშგებო წლის მოგება	**(205,727)**
სხვა სრული შემოსავალი:	
სულ საანგარიშგებო წლის სხვა სრული შემოსავალი	**(205,727)**

გენერალური დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წ. 31 დეკემბრ.	**-**	**(162)**	**(162)**	**(162)**
სააქციო კაპიტალის გამოშვება	166,215			166,215
დივიდენდები				-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		(205,727)		(205,727)
სხვა რეზერვები და დაფინასნება	368,570			368,570
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრ.	**534,785**	**(205,889)**	**(162)**	**328,897**

გენერალური დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	-	
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(91,999)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	**(91,999)**	
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი გადასახადი	(18,884)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(110,883)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შვილობილი საწარმო X-ის შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით	-	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(261,514)	
მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები	-	
მიღებული პროცენტები	-	
მიღებული დივიდენდები	-	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(261,514)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის შევსება		
სხვა რეზერვები და დაფინანსება	353,726	
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	15,500	
გადახდილი სესხი		
გადახდილი დივიდენდები1(ა)		
საკურსო მოგება/ზარალი	(404)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**368,822**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(3,574)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		**38**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		**3,612**

გენერალური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ტელემაუწყებლობის საქმიანობა, სატელევიზო სფეროში.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.3 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.6 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გარდა ფინანსური ინსტიტუტისა (როგორიც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი) ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ არ მოხდება ან დივიდენდის გზით მოგების განაწილება ან განაწილებად მიჩნევა.

დივიდენდის განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება და იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმას.

აგრეთვე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისათვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორიც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

3.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.8 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.9 შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.10 ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავდა:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2022 ლარი	2021 ლარი
ფული სალაროში	0	0
ფული ბანკში	3612	38
სულ	**3 612**	**38**

5. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

6. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

გენერალური დირექტორი

ა ნ გ ა რ ი შ ი
შპს „ე.რ.ი. მედია ჯგუფი"
2022 წლის აუდიტის შესახებ

ზოგადი ასპექტები
სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელწოდება - შპს „ე.რ.ი. მედია ჯგუფი"
იურიდიული მისამართი - თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ზ.ჟვანიას ქუჩა, N 7, ბინა 18. ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, დავით სარაჯიშვილის N12, 0153
საიდენტიფიკაციო კოდი – 404622850

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საზოგადოების მიზანს წარმოადგენს ტელემაუწყებლობის განხორციელება.

შიდა კონტროლის სისტემა

შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს კონტროლის გარემოს და კონტროლის პროცედურების ერთობლიობას. შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს ყველა პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც დადგენილია საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ, შესაძლებლობის ფარგლებში, ბიზნესის მოწესრიგებული და ეფექტური წარმართვის მიზნების მისაღწევად, თაღლითობისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად, ბუღალტრული ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად და საიმედო ფინანსური ინფორმაციის დროულად მოსამზადებლად.

❖ შენიშვნა 1: ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად ასახულია ნომინალური ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაში გადაანგარიშებული უნდა იქნეს შედგენის თარიღისათვის არსებული ოფიციალური გასაცვლელი კურსით.

პოზიციის დასახელება	2022 წლის 1 იანვარი	2021 წლის 1 იანვარი
ეროვნული ვალუტა სალაროში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3 612	38

ინდივიდუალური აუდიტორი
ლევან ბაკურაძე SARAS-A-117605

ორგანიზაცია საქმიანობის დაწყებიდან ხელფასს გასცემდა ბანკიდან, ხოლო მომწოდებლებთან და დამკვეთებთან ანგარიშსწორება განხორციელებულია უნაღდო ანგარიშსწორებით.

აუდიტის პროცესში მოვიპოვეთ კომპანიის საბანკო ამონაწერი შესამოწმებელი პერიოდის საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორის დასადასტურებლად. შემოწმების შედეგად განსხვავება არ გამოვლენილა.

შენიშვნა 2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულოებები მცირე რაოდენობისა და არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

❖ შენიშვნა 3. საშემოსავლო გადასახადი

ორგანიზაცია შესამოწმებელ პერიოდში ხელფასს გასცემდა უნაღდო ანგარიშსწორებით ბანკიდან, აუდიტის პროცესში საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა.

❖ შენიშვნა 4. დამატებული ღირებულების გადასახადი

აუდიტის პროცესში დღგ-ს გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა.

❖ შენიშვნა 5. ქონების გადასახადი

საზოგადოებას 2022 წლის ქონების გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა.

❖ შენიშვნა 6. მოგების გადასახადი

საზოგადოება 2022 წლის გადასახადის გამოანგარიშებისას სხვაობა არ გამოვლენილა. საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების

საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორიც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

❖ შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები კომპანიის მიერ ასახულ უნდა იქნეს თვითღირებულებით, ხოლო ცვეთის დარიცხვა უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის მიერ შერჩეული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკის შესაბამისად.

საქმიანობის პერიოდში შეძენილი ძირითადი საშუალებები ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახულია IAS 16 მოთხოვნათა დაცვით. ბაას 16 სტანდარტის თანახმად სამეურნეო ერთეულს მოეთხოვება რეალური ღირებულებით ასახოს ძირითადი საშუალება, რომელიც მიღებულ იქნა ფულადი ან არაფულადი აქტივების კომბინაციის შედეგად. ძირითადი საშუალებებზე მოხდენილია ცვეთის მეთოდის განსაზღვრა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი ბასს 36-ის და ბასს 16-ის მოთხოვნების თნანახმად ორგანიზაციის ხემლმძღვანელობა ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც იმსჯელოს აქტივების რელაური ღირებულების, მისი გაუფასურების და გადაფასების აუცილებლობის შესახებ.

❖ შენიშვნა 8. საეჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიას გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულებები მომწოდებელთა მიმართ. კომპანია კრედიტორულ დავალიანებას ასახავს დარიცხვის მეთოდის მიხედვით, მომსახურების გაწევის ან მიღების შესაბამის მომენტში.

❖ შენიშვნა 9. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფოლბელებში და ა.შ.) ხორცილედება კომპანიის პარტნიორის მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ჩვენს მიერ შემოწმდა კომპანიის საკუთარი კაპიტალის მოძრაობა და მისი აღრიცხვის შესაბამისობა მსს ფასს-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდენ კაპიტალის ცვლილებების აღრიცხვის შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

❖ შენიშვნა 10.შემოსავლები

კომპანიას გააჩნია შემოსავლები, შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ კომპანიის მოგება-ზარალის (ფინანსური შედეგი) ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან. კერძოდ:

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი მოგება-ზარალის ანგარიშგების (ფინანსური შედეგი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია კომპანიის სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 5.5 და 6.5 პუნქტებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

❖ შენიშვნა 11. ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

ლევან ბაკურაძე
მალხაზ სილაგაძე

ინდივიდუალური აუდიტორი
ლევან ბაკურაძე SARAS-A-117605